პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 90 (9558) | ხუთშაბათი, 16 აპრილი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკა

გუშინ, 15 აპრილს, საქართველოს დედაქალაქ თბილისში შეიკრიბა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესია. სესიამ მიიღო ფრიად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ერთსულოვანი მოწონებით შეხვდებიან სესიის ამ გადაწყვეტილებებს, გააძლიერებენ მუშაობას ახალი წარმატებების მოპოვებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომა

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1953 წლის 15 აპრილის სხდომის შესახებ

15 აპრილს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს სსრ მთავრობის სახლში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომების დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესია.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **გ. დ. ჯავახიშვილმა.**

დეპუტატ **გ. დ. ჯავახიშვილის** წინადადებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ ფიხზე ადგომით პატივი სცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის **იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის** ხსოვნას.

თავმჯდომარე დეპუტატი **გ. დ. ჯავახიშვილი** აცხადებს, რომ სესიის განსახილველად შემოტანილია შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის არჩევა.
2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დანიშვნა.
3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობა და საქართველოს სსრ სამინისტროების გარდაქმნა.
4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის არჩევა.
5. ცვლილებების და დამატებების შეტანა საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50-ე, 55-ე და 56 მუხლებში.

სესიას ერთხმად შეაქვს ეს საკითხები თავისი მუშაობის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის არჩევა — თავმჯდომარე სიტყვას აძლევს დეპუტატ **შ. ი. ჭანუყვაძეს,** რომელიც გამოვიდა აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქ თბილისის, ქალაქ ქუთაისის, ქალაქ გორის, ზუგდიდის, ზესტაფონისა და ჩოხატაურის დეპუტატთა ჯგუფის დავალებით.

სესიამ დეპუტატი **ზ. ნ. ჩხუბიანიშვილი** გაათავისუფლა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე მისი გადასვლის გამო.

სესია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ერთხმად ირჩევს დეპუტატ **ვლადიმერ გედევანის-ძე ცხოვრებაშვილს** და ათავისუფლებს მას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დანიშვნა — თავმჯდომარე სიტყვას აძლევს დეპუტატ **დ. ზ. რომელაშვილს,** რომელიც გამოვიდა აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისის, ქუთაისისა და გორის დეპუტატთა ჯგუფის დავალებით.

სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო სესიამ გაათავისუფლა დეპუტატი **ზ. ნ. კეცხოველი** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან და ერთსულოვნად დაამტკიცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დეპუტატ **ვალერიან მინას-ძე ბაქრაძის** დანიშვნა და მიანდო მას წინადადებათა წარდგენა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობის შესახებ.

სესია იწყებს დღის წესრიგის მესამე საკითხის — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობა და საქართველოს სსრ სამინისტროების გარდაქმნა — განხილვას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს დეპუტატ **ვ. მ. ბაქრაძეს** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს განსახილველად შეაქვს წინადადებანი საქართველოს სსრ სამინისტროების გარდაქმნისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ერთსულოვნად ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის **ვ. მ. ბაქრაძის** მიერ შეტანილ შემდეგ წინადადებებს საქართველოს სსრ სამინისტროების გარდაქმნის შესახებ:

გაერთიანდეს საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო ერთ სამინისტროდ — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროდ.

გაერთიანდეს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ტექნიკურ კულტურათა სამინისტრო, წყალთა მეურნეობის სამინისტრო და სატყეო მეურნეობის სამინისტრო ერთ სამინისტროდ — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროდ.

გაერთიანდეს საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სამინისტრო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტი ერთ სამინისტროდ — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროდ.

გაერთიანდეს მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო, კვების მრეწველობის სამინისტრო და ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო ერთ სამინისტროდ — საქართველოს სსრ მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროდ.

გაერთიანდეს კომუნალური მეურნეობის სამინისტრო და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის სამინისტრო ერთ სამინისტროდ — საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობისა და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის სამინისტროდ.

უმაღლესი საბჭო ერთხმად ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის **ვ. მ. ბაქრაძის** მიერ შეტანილ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემდეგ შემადგენლობას:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე — **გივი დიმიტრის-ძე ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე — **ივლიანე სამსონის-ძე ზოდელავა.**

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი — **ვლადიმერ გიორგის-ძე დეკანოზოვი.**

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მინისტრი — **მიხეილ ივანეს-ძე ბარამია.**

საქართველოს სსრ მსუბუქი და კვების მრეწველობის მინისტრი — **ზაქარია ნიკოლოზის-ძე კეცხოველი.**

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი — **ვლადიმერ ივანეს-ძე ჭიაურელი.**

საქართველოს სსრ სატყეო და ქაღალდის მრეწველობის მინისტრი — **ზაქარია ნიკოლოზის-ძე ჩხუბიანიშვილი.**

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი — **შოთა სპირიდონის-ძე მინდიაშვილი.**

საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი — **იოსებ დიმიტრის-ძე კოჭლამაზაშვილი.**

საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი — **კონდრატი სოკრატის-ძე ციმაკურიძე.**

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი — **ალექსანდრე თადეოზის-ძე ხელიძე.**

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი — **გიორგი ალექსანდრეს-ძე გოჩაშვილი.**

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობისა და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის მინისტრი — **გიორგი ანდრიას-ძე ჯაბუა.**

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი — **როსტომ კონსტანტინეს-ძე წულუკიძე.**

საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრი — **ავქსენტი ნარიკის-ძე რაფავა.**

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი — **ვასილ ქიშვარდის-ძე მამალაძე.**

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი — **ალექსანდრე ერასტის-ძე მელაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე — **სიმონ გიორგის-ძე ხოშტარია.**

დეპუტატ **გ. კ. ცქიტიშვილის** წინადადებით, რომელიც გამოვიდა ქალაქ თბილისის, ქალაქ ქუთაისის, ქალაქ გორის, ზუგდიდის, გურჯაანისა და დმანისის დეპუტატთა ჯგუფის დავალებით, უმაღლესმა საბჭომ დეპუტატი **ვ. ი. ეგნატაშვილი** გაათავისუფლა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობისაგან და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნად ერთხმად აირჩია დეპუტატი **ნინო ალექსანდრეს ასული ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ განიხილა საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50-ე, 55-ე და 56-ე მუხლებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის საკითხი.

ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა დეპუტატმა **ნ. ა. ჯავახიშვილმა.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ერთხმად ამტკიცებს საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50-ე, 55-ე და 56-ე მუხლებს შემდეგი შინაარსით:

„**მუხლი 50.** საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს ქმნის საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები;

საქართველოს სსრ მინისტრები:

შინაგან საქმეთა;

საგარეო საქმეთა;

თავდაცვისა;

სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა;

მსუბუქი და კვების მრეწველობისა;

კულტურისა;

სატყეო და ქაღალდის მრეწველობისა;

საშენ მასალათა მრეწველობისა;

ვაჭრობისა;

ფინანსთა;

ჯანმრთელობის დაცვისა;

სოციალური უზრუნველყოფისა;

კომუნალური მეურნეობისა და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობისა;

განათლებისა;

სახელმწიფო კონტროლისა;

იუსტიციისა;

იუსტიციისა;

ადგილობრივი მრეწველობისა;

საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე".

„**მუხლი 55.** საქართველოს სსრ-ის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები არიან სამინისტროები:

შინაგან საქმეთა;

საგარეო საქმეთა;

თავდაცვისა;

სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა;

მსუბუქი და კვების მრეწველობისა;

კულტურისა;

სატყეო და ქაღალდის მრეწველობისა;

საშენ მასალათა მრეწველობისა;

ვაჭრობისა;

ფინანსთა;

ჯანმრთელობის დაცვისა;

სახელმწიფო კონტროლისა;

იუსტიციისა".

„**მუხლი 56.** საქართველოს სსრ-ის რესპუბლიკური სამინისტროები არიან სამინისტროები:

სოციალური უზრუნველყოფისა;

კომუნალური მეურნეობისა და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობისა;

განათლებისა;

ადგილობრივი მრეწველობისა".

თავმჯდომარე სიტყვას აძლევს დეპუტატ **გ. ნ. ჯიბლაძეს.** მას შეაქვს წინადადება მიღებულ იქნას პროექტი გადაწყვეტილებისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობიდან მ. ი. ბარამიას გარიცხვის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1952 წლის 6 აპრილის დადგენილების გაუქმების შესახებ.

სესია ერთხმად იღებს გადაწყვეტილებას: გაუქმდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1952 წლის 6 აპრილის დადგენილება ამხ. **მ. ი. ბარამიას** გარიცხვის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობიდან და ჩაითვალოს, რომ ამხ. **მ. ი. ბარამია** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობიდან განთავისუფლებულია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მინისტრის თანამდებობაზე მისი დანიშვნის გამო.

დეპუტატმა **ი. გ. რთველიაშვილმა** სესიის განსახილველად შეიტანა საკითხი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ დაადგინა — იმასთან დაკავშირებით, რომ დეპუტატი **გ. დ. ჯავახიშვილი** დაინიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, განთავისუფლდეს იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია დეპუტატი **არჩილ დიმიტრის-ძე გიორგაძე.**

ამით დაამთავრა მუშაობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მესამე სესიამ. (საქდესი).

ამხანაგ ვ. მ. ბაქრაძის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! თქვენ დამავალეთ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარმოვადგინო მთავრობის — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობა. უღრმეს მადლობას გიძღვნით, ამხანაგო დეპუტატებო, ამ დიდი ნდობისა და მაღალი პატივისათვის.

ამხანაგებო, თქვენ უკვე იცით, რომ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიამ მიმდინარე წლის 15 მარტს მიიღო გადაწყვეტილება სახალხო მეურნეობის, კულტურისა და მმართველობის მონათესავე დარგებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით სამინისტროთა გამსხვილების შესახებ. შესაბამისად საჭიროა განხორციელდეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამინისტროთა გამსხვილება. ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს იმას, რომ კიდევ უფრო აქტიურად ვიბრძოლოთ სოციალისტური სახალხო მეურნეობის შემდგომი, კიდევ უფრო ძლიერი განვითარებისათვის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ შემუშავებული კომუნიზმის მშენებლობის დიადი გეგმების შესრულებისათვის.

ორგანიზაციულ ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც შემოგვაქვს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განსახილველად, შექმნის უკეთეს პირობებს, რათა წარმატებით გადავჭრათ ჩვენს წინაშე მდგომი მეტად სერიოზული ამოცანები, რაც იმით გამოიხატება, რომ უზრუნველვყოთ სოციალისტური სახელმწიფოს შემდგომი დაუცხრომელი და ყოველმხრივი განმტკიცება, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების კიდევ უფრო ამაღლება, სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება, საკოლმეურნეო წყობილების კიდევ უფრო განმტკიცება, კულტურის ყოველმხრივი განვითარება და მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის — ყველა მშრომელის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი ამაღლება.

ჩვენ ყველა შესაძლებლობა გვაქვს წარმატებით განვახორციელოთ სამინისტროების რეორგანიზაცია და უზრუნველვყოთ აქედან გამომდინარე ყველა უპირატესობათა რეალიზაცია, რადგან ჩვენ გვყავს მნიშვნელოვნად გაზრდილი კადრები, რომელთაც დიდი გამოცდილება შეიძინეს და შეუძლიათ წარმატებით უხელმძღვანელონ გამსხვილებულ სამინისტროებს.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განსახილველად შემომაქვს შემდეგი წინადადება:

გაერთიანდეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო ერთ სამინისტროდ — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროდ.

გაერთიანდეს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ტექნიკურ კულტურათა სამინისტრო, წყალთა მეურნეობის სამინისტრო და სატყეო მეურნეობის სამინისტრო ერთ სამინისტროდ — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროდ.

გაერთიანდეს კინემატოგრაფიის სამინისტრო, ხელოვნების საქმეთა სამმართველო, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტი ერთ სამინისტროდ — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროდ.

გაერთიანდეს მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო, კვების მრეწველობის სამინისტრო და ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო ერთ სამინისტროდ — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროდ.

გაერთიანდეს კომუნალური მეურნეობის სამინისტრო და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის სამინისტრო ერთ სამინისტროდ — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობისა და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის სამინისტროდ.

ამხანაგო დეპუტატებო! ჩემთვის, როგორც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა **საბჭოს** თავმჯდომარისათვის, მოცემული დავალების შესაბამისად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განსახილველად შემომაქვს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შემდეგი შემადგენლობა:

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე — **გივი დიმიტრის-ძე ჯავახიშვილი,**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე — **ივლიანე სამსონის-ძე ზოდელავა,**

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი — **ვლადიმერ გიორგის-ძე დეკანოზოვი,**

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მინისტრი — **მიხეილ ივანეს-ძე ბარამია,**

საქართველოს სსრ მსუბუქი და კვების მრეწველობის მინისტრი — **ზაქარია ნიკოლოზის-ძე კეცხოველი,**

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი — **ვლადიმერ ივანეს-ძე ჭიაურელი,**

საქართველოს სსრ სატყეო და ქაღალდის მრეწველობის მინისტრი — **ზაქარია ნიკოლოზის-ძე ჩხუბიანიშვილი,**

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი — **შოთა სპირიდონის-ძე მინდიაშვილი,**

საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი — **იოსებ დიმიტრის-ძე კოჭლამაზაშვილი,**

საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი — **კონდრატი სოკრატის-ძე ციმაკურიძე,**

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი — **ალექსანდრე თადეოზის-ძე ხელიძე,**

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი — **გიორგი ალექსანდრეს-ძე გოჩაშვილი,**

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობისა და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის მინისტრი — **გიორგი ანდრიას-ძე ჯაბუა,**

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი — **როსტომ კონსტანტინეს-ძე წულუკიძე,**

საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრი — **ავქსენტი ნარიკის-ძე რაფავა,**

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი — **ვასილ ქიშვარდის-ძე მამალაძე,**

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი — **ალექსანდრე ერასტის-ძე მელაძე,**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე — **სიმონ გიორგის-ძე ხოშტარია.**

ამხანაგებო! საჭიროდ არ მიმაჩნია მოგცეთ ცალკეული დახასიათება სამინისტროთა ყველა იმ ხელმძღვანელისა, რომელთა კანდიდატურა აქ გამოვაქვეყნე. თქვენ კარგად იცნობთ ყველა მათგანს. მე მინდა მხოლოდ ხაზი გავუსვა იმას, რომ სამინისტროების ხელმძღვანელების აქ წარმოდგენილი კანდიდატები, ყველა არიან ჩვენი ძლევამოსილი კომუნისტური პარტიის წევრები, აღზრდილნი და გამოწრთობილნი ლენინ — სტალინის პარტიის საქართველოს ორგანიზაციის მიერ, იმ ორგანიზაციისა, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა საქართველოს საუკეთესო შვილი, ლენინის ნიჭიერი მოწაფე, სტალინის თანამებრძოლი, კომუნისტური პარტიის და დიდი საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე ამხანაგი ლავრენტი პავლეს-ძე ბერია. (**მეტუხარე, ხანგრძლივი ტაში**).

ჩემ მიერ აქ სამინისტროთა ხელმძღვანელებად წარმოდგენილი ამხანაგები საკმაოდ შემოწმებული არიან მშრომელთა ინტერესების დაცვისა და კომუნიზმის მშენებლობისათვის წარმატებით ბრძოლის საქმეში. ყველა ისინი უსაზღვროდ ერთგული არიან კომუნისტური პარტიის, **ლენინ — სტალინის** დიადი საქმისა.

ორიოდე სიტყვით მინდა განმარტება მოგცეთ ჩემ მიერ აქ წარმოდგენილ საქართველოს მთავრობის წევრობის კანდიდატების ამხანაგების ბარამიას, ზოდელავას და რაფავას შესახებ.

როგორც ახლა სავსებით გამორკვეული და დადასტურებულია სათანადო ორგანოების მიერ, ამხანაგების ბარამიას, ზოდელავას, რაფავას და პარტიისა და საბჭოთა

(**დასასრული მე-2 გვერდზე**)

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომა

ამხანაგ ვ. მ. ბაქრაძის სიტყვა

(დასასრული)

ხალხისათვის თავდადებული ზოგიერთი სხვა მუშაკის წინააღმდეგ, ხალხისა და პარტიის მტრის — საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრის რუხაძის მიერ შეთითხნილ იქნა თავიდან ბოლომდე ფალსიფიცირებული პროვოკაციული „საქმე“ არარსებული ნაციონალიზმის შესახებ, რომლის მსხვერპლი გახდა საქართველოს ზოგიერთი გამოჩენილი მუშაკი.

ავანტიურისტი რუხაძე და მისი დამქაშები, გამომდინარეობდნენ რა მტრული კარიერისტული ინტერესებიდან, განზრახ იგონებდნენ და თხზავდნენ საზიზღარ „მასალებს“ საქართველოს კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების აქტიურ მუშაკთა წინააღმდეგ, რათა ისინი გამოეყვანათ მწყობრიდან და ამ გზით ზიანი მიეყენებინათ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისათვის. საბჭოთა სოციალისტური კანონების უხეშად დარღვევით, საბჭოთა მოქალაქის უფლებათა შებღალვით და სხვა ხრიკებით რუხაძე და მისი დამქაშები ცდილობდნენ უკმაყოფილება გამოეწვიათ საბჭოთა ხალხში, ცდილობდნენ გაეღვივებინათ ეროვნული მტრობის გრძნობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა მდივნებმა ჩარკვიანმა და მგელაძემ არა თუ არ გამოიჩინეს ელემენტარული კრიტიკული შემოწმების უნარი რუხაძის მიერ შეთითხნილი პროვოკაციული მასალების მიმართ, არამედ პირიქით, ხელს უწყობდნენ რუხაძის საზიზღარ მოქმედებას. კიდევ მეტი, მგელაძე თვითონ აქტიურ მონაწილეობას იღებდა სრულიად უდანაშაულო მუშაკთა დაპატიმრებაში.

ავანტიურისტი რუხაძე და მისი დამქაშები დაპატიმრებული არიან და სასტიკ პასუხს აგებენ, ხოლო მათ მიერ ჩადენილი შავბნელი საქმეები საკვლევით გამომჟღავნებულია და ახლა ხორციელდება ღონისძიებანი ამ მტრული მოქმედების შედეგების ლიკვიდაციისათვის. სათანადო საკავშირო სადირექტივო ორგანოების მიერ ყველა ისინი, რომელნიც პატიმრობაში იყვნენ ხალხის მტრის რუხაძის მიერ გამოგონილი და შეთითხნილი „მასალების“ საფუძველზე, განთავისუფლებული არიან, მთლიანად რეაბილიტირებული და აღდგენილი არიან თავიანთ უფლებებში. დამტკიცებულია, რომ ამხანაგები ბარამია, ზოდელავა და რაფავა ყოველთვის თავდადებულნი იყვნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების საქმისათვის.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო და იმის მხედველობაში მიღებით, რომ ამხანაგები ბარამია, ზოდელავა და რაფავა საკმაოდ გამოცდილი, დიდი ერუდიციის მუშაკები არიან, რომელთაგან შეუძლიათ სასარგებლო მუშაობა გასწიონ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში, მე საჭიროდ ვცანი წამომეყენებინა ეს ამხანაგები საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობაში. (ტაში).

ვარდგენ რა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად მთავრობის დასახელებულ შემადგენლობას, საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო მთელ თავის მუშაობას წარმართავს ისე, რომ კიდევ უფრო განვამტკიცოთ ქართველი ხალხის ძმური კავშირი და ურყევი მეგობრობა დიდ რუს ხალხთან, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან, კიდევ უფრო განვამტკიცოთ ძმობა და მეგობრობა ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანის და სომხეთის ხალხებთან.

მინისტრთა საბჭო ყოველ ღონეს იხმარს, რათა უახლოეს დროში დაძლიოს ნაკლოვანებანი საქართველოს სამინისტროების და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობაში და გააკეთებს ყველაფერს, რაც საჭიროა იმისათვის, რომ კიდევ უფრო განმტკიცდეს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს უძლეველობა, გააკეთებს ყველაფერს, რაც საჭიროა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საბოლოო გამარჯვებისათვის. (მქუხარე ტაში).

კანონები და დადგენილებანი, მიღებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ

ამხ. ზ. ნ. ჩხუბიანიშვილის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

განთავისუფლდეს ამხ. ზაქარია ნიკოლოზის-ძე ჩხუბიანიშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ცხოვრებაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი. 1953 წ. 15 აპრილი.

ამხ. ვ. გ. ცხოვრებაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩევისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. არჩეულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ამხ. ვლადიმერ გედევანის-ძე ცხოვრებაშვილი.

2. განთავისუფლდეს ამხ. ვლადიმერ გედევანის-ძე ცხოვრებაშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე დ. დავითაძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი. 1953 წ. 15 აპრილი.

ამხ. ზ. ნ. კეცხოველის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

განთავისუფლდეს ამხ. ზაქარია ნიკოლოზის-ძე კეცხოველი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ცხოვრებაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი. 1953 წ. 15 აპრილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ამხ. ვ. მ. ბაქრაძის დანიშვნის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დაინიშნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ამხ. ვალერიან მინას-ძე ბაქრაძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ცხოვრებაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი. 1953 წ. 15 აპრილი.

კანონი
საქართველოს სსრ სამინისტროების გარდაქმნის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. გაერთიანდეს საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო ერთ სამინისტროდ — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროდ.

2. გაერთიანდეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საქართველოს სსრ ტექნიკურ კულტურათა სამინისტრო, საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტრო და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრო ერთ სამინისტროდ — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროდ.

3. გაერთიანდეს საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სამინისტრო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტი ერთ სამინისტროდ — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროდ.

4. გაერთიანდეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო და საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო ერთ სამინისტროდ — საქართველოს სსრ მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროდ.

5. გაერთიანდეს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრო და საქართველოს სსრ საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის სამინისტრო ერთ სამინისტროდ — საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის სამინისტროდ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ცხოვრებაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი. 1953 წ. 15 აპრილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ მთავრობა — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — ბაქრაძე ვალერიან მინას-ძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე — ჯავახიშვილი გივი დიმიტრის-ძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე — ზოდელავა ივლიანე სამსონის-ძე.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი — დეკანოზოვი ვლადიმერ გიორგის-ძე.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მინისტრი — ბარამია მიხეილ ივანეს-ძე.

საქართველოს სსრ მსუბუქი და კვების მრეწველობის მინისტრი — კეცხოველი ზაქარია ნიკოლოზის-ძე.

საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი — ჭიაურელი ვლადიმერ იოანეს-ძე.

საქართველოს სსრ სატყეო და ქაღალდის მრეწველობის მინისტრი — ჩხუბიანიშვილი ზაქარია ნიკოლოზის-ძე.

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი — მინდიაშვილი შოთა სპირიდონის-ძე.

საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი — კოჭლამაზაშვილი იოსებ დიმიტრის-ძე.

საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი — ციმაკურიძე კონდრატი სოკრატის-ძე.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი — ხელიძე ალექსანდრე თადეოზის-ძე.

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი — გოჩაშვილი გიორგი ალექსანდრეს-ძე.

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობის მინისტრი — ჯაბუა გიორგი ანდრიას-ძე.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი — წულუკიძე როსტომ კონსტანტინეს-ძე.

საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის მინისტრი — რაფავა ავქსენტი ნარიკის-ძე.

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი — მამალაძე ვასილ ქიშვარდის-ძე.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრი — მელაძე ალექსანდრე ერასტის-ძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე — ხოშტარია სიმონ გიორგის-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ცხოვრებაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი. 1953 წ. 15 აპრილი.

კანონი
საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 50, 55 და 56 მუხლების ცვლილებისა და დამატების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

„საქართველოს სსრ სამინისტროების გარდაქმნის შესახებ“ კანონის შესაბამისად საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50, 55 და 56 მუხლებში შეტანილ იქნას საჭირო ცვლილება და დამატება და ეს მუხლები გამოიხატოს შემდეგნაირად:

„მუხლი 50. საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს ჰქმნის საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები;

საქართველოს სსრ მინისტრები:

შინაგან საქმეთა;

საგარეო საქმეთა;

თავდაცვისა;

სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა;

მსუბუქი და კვების მრეწველობისა;

კულტურისა;

სატყეო და ქაღალდის მრეწველობისა;

საშენ მასალათა მრეწველობისა;

ვაჭრობისა;

ფინანსთა;

ჯანმრთელობის დაცვისა;

სოციალური უზრუნველყოფისა;

კომუნალური მეურნეობის და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობისა;

განათლებისა;

სახელმწიფო კონტროლისა;

იუსტიციისა;

ადგილობრივი მრეწველობისა;

საქართველოს სსრ-ის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე“.

„მუხლი 55. საქართველოს სსრ-ის საკავშირო რესპუბლიკური სამინისტროები არიან სამინისტროები:

შინაგან საქმეთა;

საგარეო საქმეთა;

თავდაცვისა;

სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა;

მსუბუქი და კვების მრეწველობისა;

კულტურისა;

სატყეო და ქაღალდის მრეწველობისა;

საშენ მასალათა მრეწველობისა;

ვაჭრობისა;

ფინანსთა;

ჯანმრთელობის დაცვისა;

სახელმწიფო კონტროლისა;

იუსტიციისა“.

„მუხლი 56. საქართველოს სსრ-ის რესპუბლიკური სამინისტროები არიან სამინისტროები:

სოციალური უზრუნველყოფისა;

კომუნალური მეურნეობის და საბინაო-სამოქალაქო მშენებლობისა;

განათლებისა;

ადგილობრივი მრეწველობისა“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ცხოვრებაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი. 1953 წ. 15 აპრილი.

ამხ. ვ. ი. ეგნატაშვილის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობისაგან

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

განთავისუფლდეს ამხ. ვასილ იაკობის-ძე ეგნატაშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ცხოვრებაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი. 1953 წ. 15 აპრილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნად ამხ. ნ. ა. ჯავახიშვილის არჩევის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნად ამხ. ნინო ალექსანდრეს ასული ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ცხოვრებაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობის აღმსრულებელი თ. ქვლივიძე.

ქ. თბილისი. 1953 წ. 15 აპრილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობიდან მ. ი. ბარამიას გარიცხვის თაობაზე მიღებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილების გაუქმების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. გაუქმდეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 1952 წლის 6 აპრილის დადგენილება „მ. ი. ბარამიას გარიცხვის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობიდან“.

2. განთავისუფლდეს ამხ. მიხეილ ივანეს-ძე ბარამია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან მისი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მინისტრად დანიშვნის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ცხოვრებაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი. 1953 წ. 15 აპრილი.

ამხ. გ. დ. ჯავახიშვილის განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

განთავისუფლდეს ამხ. გივი დიმიტრის-ძე ჯავახიშვილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ცხოვრებაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი. 1953 წ. 15 აპრილი.

ამხ. ა. დ. გიორგაძის არჩევის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნას ამხ. არჩილ დიმიტრის-ძე გიორგაძე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ცხოვრებაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი. 1953 წ. 15 აპრილი.

ხაშურის რაიონი ჩამორჩა საგაზაფხულო თესვაში

ხაშურელ კოლმეურნეებსა და მექანიზატორებს პასუხსაგები ამოცანა აქვთ დაკისრებული ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის ამაღლებისათვის ბრძოლაში. ამ ამოცანის გადასაჭრელად საჭიროა ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა დარაზმონ მასები საგაზაფხულო თესვის ორგანიზებულად ჩატარებისათვის. მაგრამ რაიონში ხვნა-თესვის სამუშაოები ჩამორჩა. საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებს ხელიდან უშვებენ. პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები დამშვიდებული არიან ცალკეულ კოლმეურნეობათა მიერ ხვნა-თესვის გეგმის შესრულებით და ანგარიშს არ უწევენ იმ გარემოებას, რომ 10 აპრილისათვის რაიონში საგაზაფხულო ხვნის გეგმა შესრულებული იყო მხოლოდ 21,6 პროცენტით, ხოლო ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის თესვისა — 18,1 პროცენტით. პარტიის ხაშურის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი კონკრეტულ, კვალიფიციურ დახმარებასა და ხელმძღვანელობას ვერ უწევენ ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს.

რაიონის 10 კოლმეურნეობას 11 აპრილისათვის ქერის თესვა არ ჰქონდა დაწყებული. ამ სამარცხვინო ჩამორჩენას კოლმეურნეობები ურიგდებიან. შაქრის ჭარხლის თესვას შეუწყნარებლად აჭიანურებენ სოფელ კრისხვის, კაკალათხევის, ბიჯნისის და ცედანის კოლმეურნეობები. რაიონში არ აფასებენ მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. ამის შედეგად ჩამორჩა მრავალწლიანი ბალახების თესვა. ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც კარტოფილის და ბოსტნეულის თესვის გეგმის შესრულებაშია.

სიმინდის თესვასაც აგვიანებენ. 12 აპრილისათვის 50 კოლმეურნეობიდან ამ კულტურის თესვა დაწყებული არ ჰქონდა 42 კოლმეურნეობას.

თესვის ტემპი მნიშვნელოვნად ჩამორჩა შარშანდელს. მაგალითად, სიმინდი შარშან ამ რიცხვისათვის დათესილი იყო 396 ჰექტარი, წელს დათესილია 60 ჰექტარი. კარტოფილი გასული წლის შესაბამის პერიოდში 17 პროცენტით მეტი იყო დათესილი, გაზაფხულის ხორბალი — 25 პროცენტით, ხოლო ქერის თესვის ტემპი უფრო მეტად ჩამორჩება გასული წლის შესაბამის პერიოდს. აპრილი თესვის გადამწყვეტი თვეა. ყოველი სამუშაო საათის დაკარგვას დიდი ზიანი მოაქვს საგაზაფხულო თესვის საქმეში.

მივიწყებულია ისეთი ღონისძიებათა განხორციელება, როგორიც არის საშემოდგომო ნათესების გამოკვება მინერალური სასუქებით. 28 კოლმეურნეობას არ შეუსრულებია საშემოდგომო ჯეჯილების გამოკვების დავალება, ხოლო სათიბების, წაღელის, ჩორჩანის, ყობის, ულუმბის, ყელეთის კოლმეურნეობებს არც ერთი ჰექტარი პურეული არ გამოუკვებავთ.

კოლმეურნეობებს ხაშურის სოფლმამართველების საწყობიდან არ გაუტანიათ 700 ტონა აზოტი, ფოსფორი და კალიუმი. მინდვრად გაუზიდავია 24.000 ტონა ორგანული სასუქიც.

საგაზაფხულო სამუშაოების ჩამორჩენის მიზეზია მძლავრი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის არადამაკმაყოფილებლად გამოყენება. ვხვდებით ტრაქტორების მოცდენას ტექნიკური მიზეზებით. მოწინავე მექანიზატორთა მუშაობის მეთოდების გასავრცელებლად არ ზრუნავს რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილება. არის შემთხვევები, როცა ხაშურის მტს-ი ზოგიერთ კოლმეურნეობას არ უსრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, რომლებსაც კანონის ძალა აქვთ. მაგალითად, მტს-ს სოფელ იტრიის კოლმეურნეობაში უნდა დაეთესა სიმინდი, საკვები კულტურები და შაქრის ჭარხალი, საშემოდგომო ხორბლეულის ნათესი დაეფარცხა 441 ჰექტარზე. მაგრამ მტს-ის ხელმძღვანელობა და უწინარეს ყოვლისა მისი დირექტორი ამხ. გ. გაგნიძე არ იღებენ ზომებს კოლმეურნეობასთან დადებული ხელშეკრულების შესასრულებლად.

ამ მტს-ს მინდვრად არ მოუწყვია სარემონტო ფარდულები. ტრაქტორის რომელიმე ნაწილის დაზიანების შემთხვევაში ტრაქტორისტებს მტს-ის სარემონტო სახელოსნოში უხდებათ სიარული მასალების შესაძენად. ძვირფასი დრო უქმად იკარგება. მტს-ის ხელმძღვანელები არ იღებენ სასწრაფო ზომებს ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად.

საგაზაფხულო სამუშაოთა ჩამორჩენის მიზეზია შრომითი რესურსების არასაკმაოდ გამოყენება კოლმეურნეობებში. სოფელ იტრიის კოლმეურნეობაში არ სრულდება საგაზაფხულო სამუშაოთა გეგმები. აქ დაბალია შრომის დისციპლინა. გასულ წელს 54 კოლმეურნეს მონაწილეობა არ მიუღია საკოლმეურნეო შრომაში, 36 კოლმეურნეს არ გამოუმუშავებია შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი. საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია არ იბრძვის კოლმეურნეთა შორის შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, თესვის გეგმის ვადაზე შესრულებისათვის. აქ, მაგალითად, 24 მარტს კრებაზე, რომელიც მიეძღვნა წინა პარტიულ კრებაზე თესვისათვის მზადების საკითხზე მიღებული დადგენილების შესრულების შემოწმებას, ასეთი „გადაწყვეტილება“ მიიღეს:

„აღნიშნავენ, რომ თანახმად წინა პარტიული კრების დადგენილებისა იტრიის კოლმეურნეობა მზად არის თესვისათვის, მხოლოდ დღემდე არ არის შეძენილი კარტოფილის თესლი, რისთვისაც უნდა მიეთითოს (!) 2 დღის ვადაში.“

კრება დაიშალა ერთმუხლიანი ამ უცნაური დადგენილების მიღებით. ასეთი კრება წელს სამჯერ არის მოწვეული საგაზაფხულო ხვნა-თესვის საკითხზე. მაგრამ მინდვრის სამუშაოთა გეგმის შესრულებაში არსებითი გარდატეხა არ მომხდარა.

პარტიის რაიონულმა კომიტეტმა და რაისაბჭოს აღმასკომმა სათანადო დასკვნა უნდა გააკეთონ შექმნილი მდგომარეობიდან და ქმედითი ღონისძიებანი განახორციელონ ხვნა-თესვაში არსებული ჩამორჩენის უახლოეს დღეებში გამოსწორებისათვის. უამისოდ მოსავლიანობის გადიდებაზე ლაპარაკი ლიტონ სიტყვად დარჩება.

ე. ხარებავა.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

საირიგაციო მშენებლობა ჩინეთში

პეკინი, 14 აპრილი. (საკდესი). გაზეთი „სინ-ძიანგიბაო“ იუწყება, რომ ზამთარში მუშაობის შეწყვეტის შემდეგ აქსუს რაიონში განახლდა დიდი სარწყავი არხის „გამარჯვების“ მშენებლობა.

სინძიანის პროვინციის ეს ერთ-ერთი ჰიდრონაგებობა — 62 კილომეტრი სიგრძის არხი გადის აქსუ-კაშგარის გზატკეცილს გასწვრივ. არხის განია 34 მეტრი, ხოლო სიღრმე — საშუალოდ 3 მეტრი. აქ უკვე შესრულებულია 3.700 ათასი კუბური მეტრი მიწის სამუშაოები, ესე იგი მთელი მიწის სამუშაოების 90 პროცენტზე მეტი.

არხზე აშენდება 48 სხვადასხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობა. არხი მორწყავს 300 ათას მუ ფართობს (მუ უდრის 0,06 ჰექტარს). ამჟამად მიმდინარეობს სარწყავი ქსელის დაპროექტება.

გაზეთი „გუანმინჟიბაო“ წერს, რომ მარტის დამლევს დაიწყო მდინარე ხუანხეზე ნაგებობათა შეკეთების საგაზაფხულო სამუშაოები. მარტო ხენანისა და შანდუნის პროვინციებში მუშაობს 67 ათასამდე კაცი.

გაზეთი „ნანფანჟიბაო“ იუწყება, რომ გუანდუნის პროვინციის აღმოსავლეთ ნაწილში წარმატებით მიმდინარეობს საირიგაციო მშენებლობა. მარტო 16 მაზრაში აგებულია 25.665 მეტრე ჰიდრონაგებობა — წყალსატევები და სარწყავი არხები, რომელთა მეოხებით სარწყავი ფართობი გადიდდა 1.788 ათასი მუთი. ამ მაზრებში ახლა ორის ნაცვლად სამ მოსავალს იღებენ.

სახალხო მთავრობა გლეხებს დიდ დახმარებას უწევს საირიგაციო მშენებლობაში. გასული წლის ზამთრიდან ამ რაიონის სახალხო ხელისუფლებმა საირიგაციო მშენებლობისათვის სესხად გასცეს 20.550 მილიონი იუანი.

—⊙—

ქვანახშირის შახტების რეკონსტრუქცია ჩინეთში

შანხაი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ვენ-გუიბაო“ იუწყება, ამ თვეში დაიწყება შანდუნის პროვინციის სინვენის ქვანახშირის მაღაროების რეკონსტრუქციისა და გაფართოების დიდი სამუშაოები. სამშენებლო სამუშაოებისათვის გამოყოფილია 16 საბურღი მანქანა.

სინვენის მაღაროელთა დასახმარებლად მოდიან მუშები და იღებენ მოწყობილობას ხუნშანის, სიმბოს და ძიავანის მაღაროებიდან. სინვენის ქვანახშირის მაღაროების გაფართოება გათვალისწინებულია პირველი ხუთწლიანი გეგმით.

—⊙—

რუმინეთის დემოკრატ ქალთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ბუქარესტი, 14 აპრილი. (საკდესი). როგორც რუმინეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, 10 და 11 აპრილს ბუქარესტში გაიმართა რუმინეთის დემოკრატ ქალთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებული პლენუმი.

რუმინეთის დემოკრატ ქალთა კავშირის ვიცე-თავმჯდომარემ ილიანა რეჩანუმ მოხსენება გააკეთა რუმინელ ქალთა ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე და იმ ამოცანებზე, რომლებიც დასახულია მათ წინაშე და რომელთა მიზანია ქალთა მოძრაობის გაფართოება რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში. კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა ანა ლუნგუმ ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ ემზადებიან რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალები ქალთა მსოფლიო კონგრესისათვის, რომელიც გაიმართება კოპენჰაგენში 1953 წლის ივნისში.

პლენუმმა გადაწყვიტა 1953 წლის 28 მაისს მოიწვიოს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალთა ყრილობა, რომელიც მილიონობით რუმინელი ქალის მშვიდობიან მისწრაფებათა მძლავრი მანიფესტაცია იქნება. ყრილობა აირჩევს ქალთა მსოფლიო კონგრესის დელეგატებს.

ბოსტნეულის ფასების შემცირება უნგრეთში

ბუდაპეშტი, (საკდესი). უნგრეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, 13 აპრილიდან უნგრეთში შემცირდა ბოსტნეულის საცალო ფასები. კარტოფილის ფასი შემცირდა 12,5 პროცენტით, პარკოსანი კულტურებისა — 27 პროცენტით და კომბოსტოსი — დაახლოებით 10 პროცენტით.

—⊙—

რუსული ოპერა და ბალეტი გუდაპეშტის ოპერის თეატრის სცენაზე

ბუდაპეშტი, 15 აპრილი. (საკდესი). ბუდაპეშტის ოპერის თეატრის სცენაზე წარმატებით იდგმება რუს კომპოზიტორთა ოპერები და ბალეტები: „ევგენი ონეგინი“, „თავადი იგორი“, „ხოვანშჩინა“, „შჩელკუნჩიკი“, „გედის ტბა“ და სხვ. იდგმება საბჭოთა კომპოზიტორის ასაფიევის ბალეტები „ბახჩისარაის შადრევანი“ და „პარიზის ალი“. სეზონის დამლევს უნგრულ სცენაზე პირველად დაიდგმება მეტუსის ოპერა „ახალგაზრდა გვარდია“.

—⊙—

კულტურის სასახლე ტირანაში

ტირანა, 14 აპრილი. (საკდესი). ალი კელმენდის სახელობის კულტურის სასახლე ტირანაში ალბანეთის უდიდესი კულტურული დაწესებულებაა. სასახლეში ისვენებს ათასობით მშრომელი, მუშაობენ თეატრის, მუსიკის, ლიტერატურის, ტექნიკისა და სხვა კაბინეტები და წრეები.

სასახლის ბიბლიოთეკას აქვს 11 ათასზე მეტი ტომი წიგნი, თუ არ ვიანგარიშებთ ჟურნალებსა და სხვა პერიოდულ გამოცემებს. სასახლის მუშაკთა კოლექტივი აწყობს კონცერტებს, თეატრის წარმოდგენებს მუშებისათვის, სახალხო არმიის ნაწილებისათვის, გლეხებისათვის. თეატრალური და მხატვრული თვითმოქმედების ეროვნულ დათვალიერებაზე გასულ წელს სასახლის თეატრალურმა კოლექტივმა პირველი პრემია მიიღო.

სასახლეში წარმოებს მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდა. მუშა-მოსამსახურეებისათვის რეგულარულად ეწყობა ლექციები ი. ბ. სტალინის შრომის შესახებ „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“.

კულტურის სასახლის საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შრომის მოწინავე საბჭოთა მეთოდების პროპაგანდას. სასახლის დარბაზებში მოეწყო 22 გამოფენა სსრ კავშირში კომუნიზმის მშენებლობის წარმატებათა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობის წარმატებათა შესახებ.

—⊙—

კალათბურთელთა საერთაშორისო შეჯიბრება სოფიაში

სოფია, 14 აპრილი. (საკდესი). გუშინ სოფიაში გამართულ კალათბურთელთა საერთაშორისო შეჯიბრებაში მოეწყო ორი შეხვედრა, რომლებმაც მწვავე სპორტული ბრძოლით ჩაიარა. ვარშავის გუნდმა მოუგო პრაღის გუნდს ანგარიშით 65 : 60, სოფიის კალათბურთელებმა მოუგეს ბუქარესტის კალათბურთელებს. შედეგია 53 : 54.

სოფია, 15 აპრილი. (საკდესი). გუშინ სოფიაში კალათბურთელთა საერთაშორისო შეჯიბრებაში ერთმანეთს შეხვდნენ ბუქარესტისა და ბუდაპეშტის გუნდები. მოიგეს უნგრელმა სპორტსმენებმა ანგარიშით 64 : 53. სოფიის ახალგაზრდათა გუნდმა, რომელიც დიდი აღმავლობით თამაშობდა, დაამარცხა ვარშავის გუნდი ანგარიშით 70 : 56.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის VII სესია — პოლიტიკურ კომიტეტში

განიხილება ბირმის წარმომადგენლისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

ნიუ-იორკი, 14 აპრილი. (საკდესი). 13 აპრილს პოლიტიკური კომიტეტის დილის სხდომაზე გრძელდებოდა განხილვა პოლონეთის წინადადებებისა იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელთა მიზანია ახალი მსოფლიო ომის საფრთხის თავიდან აცილება და იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელთა მიზანია ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცება.

სხდომაზე გამოვიდნენ ჰოლანდიის, ახალი ზელანდიის, პანამისა და ისრაელის წარმომადგენლები, რომლებმაც გაილაშქრეს გენერალური ასამბლეის მიერ პოლონეთის წინადადებების მიღების წინააღმდეგ, მაგრამ ვერ მოიყვანეს რამდენადმე დამაჯერებელი საბუთები ამ საკითხში თავიანთი პოზიციების დასაცავად.

სხდომის დასასრულს გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის მეთაური ვ. დავიდი. მან ცხადყო, რომ პოლონეთის წინადადებები შეადგენენ რეალურ ვრცელ პროგრამას, რომლის საფუძველზე შეიძლება თავიდან აცილებულ იქნას ახალი მსოფლიო ომის საფრთხე და განმტკიცდეს მშვიდობა და მეგობრობა ხალხთა შორის.

ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა დაწვრილებით განმარტა თავისი დელეგაციის პოზიცია პოლონეთის დელეგაციის მიერ შეტანილი თვითეული წინადადების გამო. ხაზგასმით აღნიშნა რა, რომ პოლონეთის წინადადებას შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შეზღუდვის შესახებ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მან მოიყვანა კაპიტალისტური ქვეყნების გამალებული შეიარაღების მრავალი ფაქტი.

დასასრულ ვ. დავიდმა განაცხადა, რომ ჩეხოსლოვაკიის დელეგაცია მაყურებლად უმერს მხარს პოლონეთის წინადადებებს და მოუწოდებს დანარჩენ დელეგაციებს ხმა მისცენ პოლონეთის დელეგაციის მიერ შეტანილ რეზოლუციის პროექტს.

ნიუ-იორკი, 14 აპრილი. (საკდესი). პოლიტიკური კომიტეტი 13 აპრილის დღის სხდომაზე კვლავ განიხილავდა პოლონეთის წინადადებებს იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელთა მიზანია ახალი მსოფლიო ომის საფრთხის თავიდან აცილება, და იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელთა მიზანია ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცება.

სხლომაზე გამოვიდნენ კუბის, პანამისა და დომინიკელ რესპუბლიკის დელეგატები. მათ წარმოთქვეს ვრცელი სიტყვები, რომლებსაც არსებითად დამოკიდებულება არ ჰქონიათ პოლონეთის წინადადებებთან.

ავსტრალიის წარმომადგენელმა პოლონეთის წინადადებათა მიღებაზე უარის თქმა იმით დაასაბუთა, რომ ამჟამად „არ არსებობს მარტივი, ადვილი გზა მშვიდობისაკენ“, რომ ეს გზა „შეიძლება გამოინახოს ბელადების გონებაში“ და არა რეზოლუციებში.

სხდომის ბოლოს მოკლე განცხადება გააკეთა პოლონეთის წარმომადგენელმა, რომელმაც პოლიტიკური კომიტეტის წევრებს მოუწოდა საქმიანად მოეკიდონ პოლონეთის წინადადებების განხილვას, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საქმისათვის.

განცხადება ბირმის წარმომადგენლისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

დელი, 14 აპრილი. (საკდესი). ინდოეთის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს:

ბირმის დელეგატმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარ ბინაში განუცხადა აზიისა და აფრიკის 14 ქვეყნის წარმომადგენლებს, რომ ბირმა კვლავ მტკიცედ იცავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეტანილ თავის საჩივარს ჩრდილოეთ ბირმაში გომინდანელთა ნაშთების მოქმედების წინააღმდეგ. მან უარყო იმის ცნობები, რომ ბირმამ თავისი საჩივარი უკან წაიღო. ბირმამ, თქვა მან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას სთხოვა დაგმოს ჩანკაიშელები, რადგან ისინი მხარს უჭერენ ბირმის ტერიტორიაზე მყოფ გომინდანელთა ნაშთებს.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარის ფრედერიკ ჟოლიო-კიურის კომუნიკე

პრაღა, 14 აპრილი. (საკდესი). მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სამდივნომ პრესაში გამოსაქვეყნებლად გადასცა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარის ფრედერიკ ჟოლიო-კიურის კომუნიკე. კომუნიკეში ნათქვამია:

კომისიამ, რომელიც ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესმა დანიშნა იმ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, რომლებიც ეხება ხუთი დიდი სახელმწიფოს მთავრობებისადმი მიმართვას, 29 მარტს წერილი გაუგზავნა ამ მთავრობებს.

მისთვის მიცემული დავალების შესაბამისად კომისიამ მოუწოდა მთავრობებს დაიწყონ მოლაპარაკება მშვიდობის პაქტის დადების შესახებ. მან მიმართა აგრეთვე სხვა ქვეყნების მთავრობებსა და საზოგადოებრიობას მოწოდებით — მხარი დაუჭირონ მის მოქმედებას.

მთელ მსოფლიოში ჩაღდება საზოგადოებრივი აზრის ფართო მოძრაობა დიდ სახელმწიფოებს შორის მოლაპარაკების სასარგებლოდ.

უაღრესად დიდმნიშვნელოვანია ის, რომ მშვიდობის დაცვის მოძრაობებმა, განსაკუთრებით — მშვიდობის დაცვის ეროვნულმა კომიტეტებმა და ყველა კომიტეტმა, გააჩაღონ თვითეულ ქვეყანაში დიდი კამპანია, რათა მხარი დაუჭირონ ხალხთა კონგრესის კომისიის დემარშს მთავრობების წინაშე.

იმისათვის, რომ გააერთიანოს ყველა ელემენტი, რომელიც ხელს უწყობს ახალ მოქმედებას საერთაშორისო დაძაბულობის ნამდვილი შენელებისათვის, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიურო შეიკრიბება სხდომაზე 1953 წლის 5 და 6 მაისს. იგი აგრეთვე დანიშნავს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს უახლოესი სესიის თარიღს.

პორტ-არტურ-დალნის რაიონში დაიწყო დაღუპულთა საბჭოთა მეომრების ძეგლის აგება

პეკინი, 14 აპრილი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ფუნბაიჟიბაო“ იუწყება, პორტ-არტურ-დალნის რაიონში დიდებულ ძეგლ-მონუმენტს უგებენ საბჭოთა არმიის მეომრებს, რომლებიც დაიღუპნენ 1945 წელს იაპონელი მილიტარისტების განადგურების დროს. გადაწყვეტილება ძეგლის აგების შესახებ პორტ-არტურ-დალნის რაიონის სახალხო მთავრობამ მიიღო ამ რაიონის მოსახლეობის სურვილის თანახმად.

ძეგლის პროექტი უკვე დამთავრებულია. მისი სიმაღლე იქნება 30,09 მეტრი, სიგრძე საფუძველში — 53 მეტრი, სიგანე — 14,7 მეტრი. მონუმენტის ცენტრალური დეტალი იქნება საბჭოთა არმიის მებრძოლის დიდი ბრინჯაოს ქანდაკება და ორი ბარელიეფი, რომელთაგან ერთი გამოხატავს საბჭოთა არმიის შეხვედრას პორტ-არტურ-დალნის რაიონის მოზეიმე მოსახლეობასთან მისი განთავისუფლების დროს, ხოლო მეორე ბარელიეფის თემა იქნება „სსრ კავშირისა და ჩინეთის ხალხთა მეგობრობა.

ცნობამ ძეგლის აგების შესახებ, წერს გაზეთი, ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთისა და ჩინეთის სხვა რაიონების მოსახლეობაში. საბჭოთა არმიისადმი დიდი მადლობის გრძნობით გამსჭვალულმა ბევრმა კალატოზმა, ხუთრომ, მჭედელმა, ქვის მთლელმა და მებეტონემ გამოთქვა სურვილი მონაწილეობა მიიღოს ძეგლის აგებაში, მშენებლებმა იკისრეს ვალდებულება ძეგლის აგება დაამთავრონ იაპონიაზე გამარჯვების მე-8 წლისთავისათვის — 1953 წლის 3 სექტემბრისთვის.

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ ᲐᲮᲐᲚ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲖᲔ

ᲘᲠᲝᲓᲘᲝᲜ ᲔᲕᲓᲝᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

უახლესი ქართული ლიტერატურის რევოლუციურ-დემოკრატიული პოეზიის თვალსაჩინო წარმომადგენელი იროდიონ ევდოშვილი მცირე ფორმის მოთხრობის შესანიშნავი ოსტატიც არის. მისი მოთხრობები დღესაც ინტერესით იკითხება, კერძოდ კი მის საბავშვო მოთხრობებს ჩვენი მოზარდი თაობისათვის აქამდე არ დაუკარგავთ აქტუალური მნიშვნელობა.

სწორედ ამ გარემოებით აიხსნება, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობამ ამას წინათ გამოსცა ი. ევდოშვილის საბავშვო მოთხრობები. წიგნში შესულია 36 მოთხრობა. ამ მოთხრობებიდან „ორი ობოლი“ არის ი. ევდოშვილის პირველი პროზაული თხზულება, რომელიც დაიწერა 1893 წელს და პირველად გამოქვეყნდა 1895 წელს ჟურნალ „მოამბეში“ (№ 6). მოთხრობის სიუჟეტად აღებულია ნამდვილი ამბავი. ავტორმა დაგვიხატა თვითმყრობელობისა და კაპიტალიზმის უღელქვეშ მგმენავი მშრომელი ხალხის ყოფაცხოვრების რეალური სურათი.

მოთხრობის მთავარი გმირები არიან პატარა ობოლი და-ძმა ცაცა და ვანო, სოფელ ყორეთის ღარიბი გლეხის ზალიკოს შვილები.

ი. ევდოშვილი ზალიკოს პირით მშრომელი გლეხის იმდროინდელ მძიმე მდგომარეობას ასე გადმოგვცემს: „კაცს ჯანი მთელი ჰქონდეს, ნკლავში — ძალა, მუხლში — ღონე და შინ ცოლშვილი კი მშიერი ეხოცებოდეს! გაგონილა!? არა, არა! ყველაფერი მინახავს, ყველაფერი. ერთი წისქვილის ბორბალი არ დატრიალებულა ჩემს თავზე, თორემ სხვაფრივ ყველა ტანჯვა გამომვლია და ესეთი კი არასდროს“.

მოთხრობა უაღრესად დაძაბული ყურადღებით იკითხება. საბრალო ობოლი ბავშვები მთელი დღე ქუჩაში მათხოვრობენ. დედა, ლოგინად ჩავარდნილი, სიცხიანი, მშიერი, უპატრონოდ არის მიტოვებული.

ასეთია მოთხრობაში ასახული კაპიტალისტური საზოგადოების ულმობელი სინამდვილე. ერთი მხრით — მუქთახორები, მძარცველები, ხოლო მეორე მხრით — დაჩაგრულნი, მშიერ-ტიტველნი, უსახლკარონი.

გიპყრობთ ამ მოთხრობის ენა, სტილი, სურათოვნება, ადამიანის ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნა.

ასეთივე სოციალური უსამართლობის, მშრომელი ხალხის ჩაგრისა და აუწერელი გაჭირვების ფონზეა შექმნილი მოთხრობები: „საწყალი ბიჭიკო“, „დათო“, „მოვიტანე“, „პირველი ყვავილი“ და სხვ.

ქართული კლასიკური ლიტერატურის ტრადიციებზე აღზრდილ ი. ევდოშვილს დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარებაში. იგი გულისხმიერად და სიყვარულით ეკიდებოდა ბავშვებისათვის ლექსებისა და მოთხრობების შექმნას, ღირსეულად მიჰყვებოდა აკაკი წერეთლისა და იაკობ გოგებაშვილის პროგრესულ ტრადიციებს. მისი საბავშვო მოთხრობები ნორჩი თაობის გულში ავითარებდნენ სიძულვილს სოციალური უსამართლობისა და ბოროტებისადმი, თანაგრძნობასა და სიყვარულს დაჩაგრულისადმი, მისწრაფებას კეთილისადმი, შრომისადმი, ზიზღს სიზარმაცისადმი.

ი. ევდოშვილის საბავშვო ნაწარმოებები სადა, ბუნებრივი, კარგი ქართული ენით არის დაწერილი.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე არ არსებობს ი. ევდოშვილის თხზულებათა სრული გამოცემა, რათა მკითხველს მთლიანი წარმოდგენა ექნეს მწერლის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე.

სარეცენზიო წიგნში შესული ყველა ეს საბავშვო მოთხრობა გადმობეჭდილია დღემდე არსებული ცალკეული გამოცემებიდან. ცხადია, ამით არ ამოიწურება ი. ევდოშვილის საბავშვო მოთხრობები. ისინი გაცილებით მეტია, ვიდრე ამ გამოცემაშია წარმოდგენილი. ბევრი საბავშვო მოთხრობა პირველად გამოქვეყნების შემდეგ არ შესულა ცალკეულ გამოცემებში და დღემდე თითქმის მივიწყებულია. ეს მოთხრობები კი მხატვრულ-შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობისაა. ამათგან შეიძლება დავასახელოთ: „ალი“ (ნამდვილი შემთხვევა), „ახალი ხალათი“, „გაზაფხული“, „ზამთარი“, „შემოდგომა“, „ზაფხული“, „ნაძვის ცრემლები“, „უმცროსი“, „ჩემი დღიური“, „ჩვენი ბაღი“, „ნადირობა“, „ჩვენი ნიშა“ და ა. შ. არის აქამდე სრულიად გამოუქვეყნებელი მოთხრობებიც: „ოლოლი“, „შიში“ და სხვ.

ორიგინალურ მოთხრობებს გარდა, ი. ევდოშვილს აქვს ბევრი ნათარგმნი მოთხრობაც რუსი და უცხოელი მწერლებიდან. მაგალითად, მაქსიმ გორკის „მაწანწალა“, ი. ფრანკოს „მირონა“, ა. ფრანსის „შავი პურები“, სკიტალეცის „კომპოზიტორი“ და სხვ.

სარეცენზიო წიგნში შესული მოთხრობები დალაგებული არ არის ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. მათი დაწერის ან პირველი გამოქვეყნების წლების მიხედვით.

კარგი იქნებოდა, რომ საბავშვო მოთხრობების წიგნში შესულ თხზულებათა ტექსტები დასაბეჭდად გამზადებულიყო ავტოგრაფებთან (რომლების უმრავლესობა დაცულია მწერლის არქივში) და პირველნაბეჭდებთან შედარებით. ცხადია, ამით წიგნი ბევრად მოიგებდა, რადგან მაშინ აცილებული იქნებოდა შემდეგ ნაბეჭდ გამოცემებში დაშვებული შეცდომების გამეორება.

წიგნში კორექტურული შეცდომებიც არის.

კარგი იქნება, თუ მომავალში საბლიტგანი გამოსცემს იროდიონ ევდოშვილის საბავშვო თხზულებათა სრულ კრებულს.

ეს კარგი საჩუქარი იქნება ახალგაზრდობისათვის.

შ. გოზალიშვილი.

ᲔᲛᲘᲚ ᲖᲝᲚᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ

„მისი დიადი აჩრდილი მუდამ ჩვენთან არის ბრძოლის დროს“, — თქვა ფრანგი ხალხის ბელადმა ამხანაგმა მორის ტორეზმა გამოჩენილი ფრანგი მწერლის ემილ ზოლას შესახებ.

ემილ ზოლა XIX საუკუნის ერთ-ერთი თვალსაჩინო მწერალია. იგი ეკუთვნის დიდ მწერალთა პლეადას. მას სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა მოუხდა იმ დროს, როდესაც საფრანგეთის ბურჟუაზიულ ლიტერატურაში ფეხი ჰქონდა მოკიდებული დეკადენტობას. ამ გამხრწნელ ვითარებაში ემილ ზოლა ფრანგული ჰუმანიზმის სახელოვანი ტრადიციების მატარებლად რჩება.

ემილ ზოლას კალამს ეკუთვნის ერთი სახელწოდებით გაერთიანებული რომანების მთელი სერია — „რუგონ-მაკარების“, რომლებშიც ასახულია მაშინდელი საფრანგეთის ბანკი, ბირჟა, პარლამენტი, ფაბრიკა, ეკლესია და სხვ... მწერალი ილაშქრებს მეორე იმპერიის ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგ, უდიდესი მხატვრული ძალით ხატავს ბურჟუაზიულ პოლიტიკანებს, ხალხის დოლათის დამტაცებელ გაუმაძღართა ხროვას.

„რუგონ-მაკარების“ სერიას ეკუთვნის შესანიშნავი რომანი „ფული“, რომელიც ახლახან გ. ქიქოძის რედაქტორობით ქართულ ენაზე გამოსცა სახელმწიფო გამომცემლობამ (თარგმანი ნ. ქადეიშვილისა).

რომანში მხატვრული დამაჯერებლობით არის აღწერილი მეორე იმპერიისდროინდელი კაპიტალისტური საფრანგეთის ფინანსური კრახი. რომანის მთავარი გმირი საკარი პარიზის ბირჟაზე აქციებით ვაჭრობას ეწევა. იგი ერთხელ გაკოტრდება, მაგრამ ეს არ აშინებს, ხელმეორედ იწყებს ახალ ფინანსურ მაქინაციებს. საკარისათვის ფულია ყველაფერი. იგი გაიძვერობით ხელთ იგდებს დიდ თანხას, გადის პარიზის ბირჟის მოედანზე და უპირისპირდება საქციო საზოგადოების მეფეს — მილიონერ გუნდერმანს. საკარი ცდილობს დაამარცხოს გუნდერმანის საქციო საზოგადოება და თვითონ დაეპატრონოს მას. ამ მიზნის მისაღწევად საკარი გაიჩენს მეგობრებს, აარსებს „უნივერსალურ ბანკს“, კარგავს ყოველგვარ სინდისს. ბლიქენლობს, ეწევა ბნელ მაქინაციებს. და ბოლოს გაიძვერა ფინანსისტი ინკინრის დახმარებით დაამარცხებს ბირჟის მეფეს გუნდერმანს.

მაგრამ ეს გამარჯვება დროებითია. გუნდერმანი შურს იძიებს. იგი უთვალთვალებს საკარს, ხელს უწყობს კურსის დაწევას „უნივერსალურის“ წინააღმდეგ, ელოდება შემოხვევას, რომ ერთი შეტევით დაანგრიოს იგი, გათელოს ბაზარი თავისი მილიონებით. საბოლოოდ გუნდერმანი ამარცხებს საკარს.

ავტორი დიდი სიყვარულით გვიხატავს პატიოსანი ადამიანების წარმომადგენლებს. ასეთები არიან: პოლი, მარსელინა, უტოპისტი სოცი

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 14 აპრილი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაცხადა, რომ განვლილი დღის მანძილზე კორეის სახალხო არმიის შენაერთები და ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილები პენსმდონის რაიონში განაგრძობდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლი-სინმანელთა ჯარების წინააღმდეგ

13 აპრილს ღამით ამერიკის ავიაცია კვლავ თავს დაესხა ფხენიანის საცხოვრებელ უბნებს და ბარბაროსულად უწესრიგოდ დაბომბა ისინი. ბევრი მსხვერპლია ქალთა, ბავშვთა და მოხუცთა შორის.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავებმა გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 5 თვითმფრინავი.

მოლაპარაკება პანმინჯონში

პეკინი, 14 აპრილი. (საკდესი). სინხუას საგენტოს სპეციალური კორესპონდენტი კესონიდან იუწყება:

დღეს პანმინჯონში ორივე მხარის შტაბის ოფიცრებმა გაცვალეს იმ შეთანხმების საბოლოო ტექსტები, რომელიც ეხება ავადმყოფი და დაჭრილი სამხედრო ტყვეების რეპატრიაციის დეტალებს. შეთანხმება შედგენილია კორეულ, ჩინურ და ინგლისურ ენებზე. ავადმყოფი და დაჭრილი სამხედრო ტყვეების რეპატრიაციის შესახებ შეთანხმებას ხელი მოაწერეს 3 დღის წინათ.

დღეს არ გამართულა მეკავშირეთა ჯგუფების არავითარი სხდომა, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის მეკავშირეთა ჯგუფის მეთაურმა კონტრ-ადმირალმა დანიელმა გენერალ ლი სან ჩოს მისცა თანხმობა მეკავშირეთა ჯგუფების სხდომები განეახლებინათ უახლოეს 1-2 დღეში, რათა განეხილათ დაზავებაზე მოლაპარაკების განახლების თარიღის საკითხი. უკვე 4 დღე გავიდა, ხოლო ამერიკის მხრივ არ არის არავითარი მითითება დაზავებაზე მოლაპარაკების განახლების თარიღის შესახებ, რომელიც მარშან ოქტომბერში შეწყდა.

ბონისა და პარიზის სამხედრო ხელშეკრულებათა წინააღმდეგ

მაძს რაიმანის გამოსვლა

ბერლინი, 15 აპრილი. (საკდესი). აღნ-ის საგენტომ გადმოსცა კომუნიკე გერმანიის კომპარტიის გამგეობის მე-8 სხდომის შესახებ, რომელიც გაიმართა 12 აპრილს დიუსელდორფში.

კომუნიკეში ნათქვამია, რომ სხდომაზე ძირითადი მოხსენება „გერმანელ პატრიოტთა ბრძოლა ბონისა და პარიზის სამხედრო ხელშეკრულებათა განხორციელების წინააღმდეგ და გერმანიის კომპარტიის ამოცანები“ გააკეთა გერმანიის კომპარტიის თავმჯდომარემ მაქს რაიმანმა.

ადენაუერის ზეგავლენის შედეგად და გერმანელთა დიდი უმრავლესობის ნებასურვილის წინააღმდეგ ბუნდესტაგის მიერ მიღებულმა ბონისა და პარიზის ხელშეკრულებებმა, თქვა რაიმანმა, ჰგდგომარეობის შემდგომი გამწვავება გამოიწვია დასავლეთ გერმანიაში. სამხედრო ხელშეკრულებათა მიღებით გერმანიის ბურჟუაზიამ აშკარად უღალატა ეროვნულ ინტერესებს.

ადენაუერის პოლიტიკა — იარაღის ჟღარუნისა და ომისათვის მზადების პოლიტიკა მიმართულია არა მარტო აღმოსავლეთის დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე ხალხების წინააღმდეგ, არამედ დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და განსაკუთრებით კი ფრანგი ხალხის წინააღმდეგაც. მაგრამ იგი უწინარეს ყოვლისა ემუქრება გერმანელი ხალხის სიცოცხლეს.

ამ ვითარებაში, განაგრძო მაქს რაიმანმა, გერმანელი ხალხის სულ უფრო ფართო წრეები და განსაკუთრებით კი მუშათა კლასი ერთიანდება ადენაუერის ომის პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბრძოლა სამხედრო ხელშეკრულებათა წინააღმდეგ ახალ ეტაპში შევიდა და ახლა იგი ვარკეცებული ძალით უნდა წარმოებდეს. ახლა საქმე ის არის, რომ ხელი შეეშალოს სამხედრო ხელშეკრულებათა განხორციელებას.

დაგმო რა ადენაუერის პარტიისა და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარჯვენე ლიდერების ანტისახალხო პოლიტიკა, მაქს რაიმანმა მოუწოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებს გაერთიანდნენ კომუნისტებთან ერთად დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში, ომის საფრთხის წინააღმდეგ, სამხედრო ხელშეკრულებათა განხორციელების წინააღმდეგ და ერთიანი, მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული გერმანიის აშენებისათვის ბრძოლაში.

გერმანიის კომუნისტური პარტია გერმანიის ეროვნული გაერთიანების პროგრამაში, განაგრძო რაიმანმა, სახავს გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტის გზას. ეს გზა არის აღმოსავლეთისა და დასავლეთის გერმანელთა შეთანხმება და სრულიად გერმანიის მოლაპარაკების წარმოება ეროვნული კრების საყოველთაო, თანასწორი და თავისუფალი არჩევნების შესახებ.

შეეხო რა ბუნდესტაგის მომავალ არჩევნებს, რაიმანმა თქვა, რომ გერმანელი იმპერიალისტთა პარტიებს ამ არჩევნების საშუალებით სურთ მიაღწიონ ადენაუერის რეჟიმის პოლიტიკის მოჩვენებითს მოწონებას ამომრჩეველთა მიერ. მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები, რომლებიც ატყუებენ ხალხთა მასებს ოპოზიციობის თამაშით, ემზადებიან იმისათვის, რომ უფრო ვვიან მიიღონ მონაწილეობა როგორც კოალიციის მონაწილეებმა სამხედრო ხელშეკრულებათა განხორციელებაში.

ჩვენ, განაცხადა რაიმანმა, მხოლოდ მაშინ შეძლებთ წარმატებით განვახორციელოთ საარჩევნო კამპანია, თუ ჩვენს საარჩევნო ბრძოლას საფუძვლად დავუდებთ გერმანიის ეროვნული გაერთიანების პროგრამას.

ფინეთის მშრომელები ხელფასის გაღიდებას მოითხოვენ

ჰელსინკი, 15 აპრილი. (საკდესი). ფინეთში ფართოვდება მოძრაობა ხელფასის გადიდებისათვის. იგი მოიცავს არა მარტო მუშებს, არამედ ინტელიგენციასაც. ამ დღეებში ჰელსინკში გაიმართა გონებრივი შრომის მუშაკთა ცენტრალური კავშირის ყრილობა, სადაც განხილულ იქნა ხელფასის საკითხი. ყრილობის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ წარმოების ხარჯების დონის შემცირების აუცილებლობის საბაბით დაგეგმილი ხელფასის შემცირება არ შეიძლება მოწონებულ იქნას. ყრილობამ აზრი გამოთქვა გონებრივი შრომის მუშაკთა ხელფასის გადიდების სასარგებლოდ და დაგმო განზრახვა გაუქმდეს ხელფასის დამოკიდებულება ცხოვრების ღირებულების ინდექსზე, რამდენადაც ეს გამოიწვევს რეალური ხელფასის შემცირებას.

ხელფასის გადიდებას მოითხოვენ ფინეთის ჩრდილოეთის ნავსადგურების მუშები და მოსახლეობის სხვა ჯგუფები.

ბრაზილიის კომპარტიის დევნა

ნიუ-იორკი, 14 აპრილი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კორესპონდენტი რიო-დე-ჟანეიროდან იუწყება, ეროვნული უშიშროების საბჭომ პრეზიდენტ ვარგასს გაუგზავნა პროექტი ეგრეთწოდებული „სამშობლოსადმი ლოიალობის კანონისა“, რომლის მიზანია კანონს გარეშე გამოაცხადოს ბრაზილიის კომპარტიისა და სხვა პროგრესული ორგანიზაციების საქმიანობა. კანონპროექტი ითვალისწინებს 3-დან 10 წლამდე პატიმრობას ბრაზილიის მოქალაქეთათვის და ბრაზილიიდან გაძევებას უცხოელი მოქალაქეებისა, რომლებიც დაარღვევენ აღნიშნულ კანონს.

ჩაიფუშა კონფერენცია „ევროპის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო ბაზრის“ შექმნის საკითხზე

პარიზი, 14 აპრილი. (საკდესი). დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის ღრმა წინააღმდეგობათა არსებობას მოწმობს, კერძოდ, იმ მოლაპარაკების შედეგები, რომელიც წარმოებდა ეგრეთწოდებული „ევროპის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო ბაზრის“ ანუ, როგორც მას ბურჟუაზიული პრესა უწოდებს, „მწვანე პულის“ შექმნის შესახებ. „მწვანე პულის“ მოსალოდნელი მონაწილე ქვეყნების კონფერენცია, რომელსაც დიდხანს ამზადებდნენ და რომელიც ამას წინათ გაიმართა პარიზში, მარცხით დამთავრდა. 17 ქვეყნის წარმომადგენლებმა, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ კონფერენციის მუშაობაში, ვერ შეიტანეს ვერავითარი რეალური პრაქტიკული წინადადება, რომელიც ხელს შეუწყობდა ამ პროექტის განხორციელებას. უნდა ითქვას, კონფერენციის ერთადერთი შედეგი იყო დროებითი კომიტეტის შექმნა, რომელსაც დაევალა მოამზადოს პროექტი და განსახილველად წარმოუდგინოს მორიგ კონფერენციას, რომლის მოწვევა განზრახულია ოქტომბერში. მაგრამ გაზეთების ცნობიდან ჩანს, რომ კონფერენციის ვერც ერთმა მონაწილემ ზუსტად ვერ განსაზღვრა თვით პროექტის ხასიათი, მისი საფუძვლები და ამოსავალი მონაცემები.

ყველაზე მეტი აქტივობა გამოიჩინეს ჰოლანდიის წარმომადგენლებმა, რომლებსაც იმედი ჰქონდათ, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე საბაჟო ბარიერების გაუქმების გზით მოიპოვებდნენ ევროპის ბაზარს და ამით შეეცდებოდნენ ახლანდელი კრიზისიდან გამოეყვანათ თავიანთი სოფლის მეურნეობა. სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა ამ პროექტის მიმართ გამოიჩინეს ან უკიდურესი თავშეკავება, ან აშკარა ნტრობა. საფრანგეთმა, იტალიამ და დასავლეთმა გერმანიამ შეიტანეს წინადადება „ევროპის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო ბაზარი“ განსაზღვროს მხოლოდ მარცვლეულით, შაქრით, ხილით, ბოსტნეულით, რძისა და ხორცის პროდუქტებით და ხე-ტყით. მაგრამ თურქეთის წარმომადგენლებმა იქვე მოითხოვეს შეიქმნას ბამბის ერთიანი ბაზარი, ხოლო ნორვეგიის წარმომადგენლებმა — თევზაობის პროდუქციის ბაზარი. ერთიანი ბაზრის პროდუქციის მოცულობის საკითხის გადაჭრა არ მოხერხდა და იგი „ბოლომდე დასამუშავებლად“ გადაეცა დროებითს კომიტეტს.

ვერ გადაწყვიტეს აგრეთვე საკითხი, რით უნდა დაიწყონ „ერთიანი ბაზრის“ შექმნა, რა ორგანონებია საჭირო ამისათვის.

კათოლიკური გაზეთი „კრუა“, ეხება რა „მწვანე პულის“ კონფერენციის შედეგებს, აღნიშნავს, რომ „კონფერენციაზე მაშინვე გამოირკვა, რომ კონფერენციის მონაწილე ქვეყნების ზნიშვნელოვან უმრავლესობას შეეშინდა დადგომოდა გზას, რომელიც, მათი აზრით, წარმოადგენს უდიდეს რისკს და გაურკვევლობას მათი ეროვნული სოფლის მეურნეობისათვის.

აგრესიული შუა აღმოსავლეთის ბლოკის პროექტის წინააღმდეგ

კაირო, 15 აპრილი. (საკდესი). გაზეთმა „ალ-მსრიმ“ გამოაქვეყნა ამ გაზეთის მთავარი რედაქტორის ახმედ ბაულ ფათხას სტატია, რომელიც სასტიკად გმობს შუა აღმოსავლეთში სამხედრო ბლოკის შექმნის აგრესიულ გეგმებს.

სტატიაში ნათქვამია, რომ არაბთა ქვეყნების ხალხები არასოდეს არ დათანხმდებიან შეეიდნენ დასავლეთის მიერ მოწყობილ „ერთობლივი თავდაცვის“ რაიმე სისტემაში, რადგან ეს იქნებოდა „არაბი ხალხის უფლებათა ღალატი“.

„ეგვიპტე, — ნათქვამია სტატიაში, — უარყოფს „ერთობლივი თავდაცვის“ პროექტს და არასოდეს არ მოაწერს ხელს ამგვარ შეთანხმებას. არაბთა ყველა ქვეყნის ხალხები არასოდეს არ მისცემენ ამის ჩადენის ნებას არავითარ მთავრობას. ისინი ამხედრდებიან ყოველგვარი მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც ასეთ დანაშაულს ჩაიდენს“.

ინგლისის 1953-1954 საფინანსო წლის ბიუჯეტი

ლონდონი, 14 აპრილი. (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტო იუწყება, 14 აპრილს თემთა პალატაში ფინანსთა მინისტრმა ბატლერმა შეიტანა ინგლისის 1953-1954 საფინანსო წლის ახალი ბიუჯეტი.

ბატლერმა განაცხადა, რომ ბიუჯეტით გათვალისწინებული გადასახადების შემოსავალი უნდა შეადგენდეს 4.538 მილიონ გირვანქა სტერლინგს — 99 მილიონი გირვანქა სტერლინგით მეტს წინა საფინანსო წლის ფაქტიურ შემოსავალთან შედარებით. ხარჯების საერთო თანხა გათვალისწინებულია 4.259 მილიონი გირვანქა სტერლინგის რაოდენობით — 108 მილიონი გირვანქა სტერლინგით მეტი, ვიდრე წინა წელს.

სამხედრო ხარჯები შეადგენს 1.636 მილიონ გირვანქა სტერლინგს, ე. ი. 120 მილიონ გირვანქა სტერლინგით მეტს, ვიდრე წინა წელს. ეს ციფრი, აღნიშნავს რეიტერის საგენტო, მშვიდობიან დროს „ყველაზე დიდია ინგლისის ისტორიაში“. გარდა ამისა ბიუჯეტში გათვალისწინებულია, რომ სამოქალაქო უწყებებმა სამხედრო საჭიროებისათვის უნდა დახარჯონ 139 მილიონი გირვანქა სტერლინგი.

ბატლერმა განაცხადა, რომ ხარჯები სამოქალაქო საჭიროებისათვის წინა წელთან შედარებით შემცირდება 60 მილიონი გირვანქა სტერლინგით.

ინგლისმა უარი თქვა ხელი მოაწეროს შეთანხმებას ხორბლის ფასების შესახებ

პარიზი, 14 აპრილი. (საკდესი). პარიზის რადიოს ცნობით, გუშინ ვაშინგტონში 17 ქვეყნის, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და ბელგიის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს უახლოესი სამი წლის შეთანხმებას ხორბლის ფასების შესახებ. ინგლისმა უარი თქვა ხელი მოაწეროს ამ შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს ხორბლის ფასების გადიდებას.

ლონდონი, 14 აპრილი. (საკდესი). „ტაიმსი“ სარედაქციო სტატიაში იწონებს ინგლისის უარს შეუერთდეს სხვა ქვეყნებს, რომლებიც დაეთანხმნენ ხორბლის ამერიკულ ფასს. „ის ფასი, რომელსაც შეერთებული შტატები საკუთარ მწარმოებლებს გადაუხდიან ამერიკის შეერთებული შტატების საქმეა, და იმპერატორი ქვეყნებს კანონიერი უფლება აქვთ მოელოდნენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები თვითონ გადაიხდიან თავის სუბსიდიებს. მართალია, საეჭვო არ არის იმ ფაქტის შეუფასებლობა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუძლიათ შეაჩერონ ხორბლის მიწოდება, მაგრამ ინგლისი ვერაფერს ვერ მოიგებს, თუ იგი დაშინდება. 5 ცენტის განსხვავება შეთავაზებულ და მოთხოვნილ ფასს შორის წარმოადგენს პრინციპულ განსხვავებას — ეს არის ამერიკის საშინაო პოლიტიკის ჩარევა საერთაშორისო ვაჭრობაში, და ინგლისის მთავრობამ არ უნდა დაუთმოს. ინგლისი უდიდესი იმპორტიორია. შეთანხმება საეჭვოა რომ ეფექტიანი იქნეს უინგლისოდ“.

გაზეთებმა „დეილი მეილმა“ და „დეილი ექსპრესმა“ გამოაქვეყნეს ამავე ტონით დაწერილი სარედაქციო სტატიები.

„ჩვენ, — წერს „დეილი მეილი“, — შევძლებთ მტის შესყიდვას კანადაში, ხოლო შესაძლოა, სხვა ადგილებშიც“.

„დეილი ექსპრესი“ მოუწოდებს ინგლისს საერთო არაფერი ექნეს საერთაშორისო შეთანხმებასთან ხორბლის შესახებ და აცხადებს, რომ, თუ ინგლისი ხორბალს თავისუფალ მსოფლიო ბაზარზე შეისყიდის, ეს მისთვის უკეთესი იქნება. „მას შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ მიიღებს მისთვის საჭირო ხორბლის მთელ რაოდენობას და თანაც სამართლიან ფასად“.

ფასების ზრდა საბერძნეთში

სოფია, 15 აპრილი. (საკდესი). ბულგარეთის დეპეშათა საგენტო იტყობინებს:

როგორც ათენის რადიო იუწყება, პაპაგოსის მთავრობის გადაწყვეტილებით საბერძნეთში დიდდება თხევადი საწვავის ფასები. მაგალითად, ერთი ტონა ნავთობის ფასი 960 ათასიდან 1.480 ათას დრახმამდე დიდდება. სხვადასხვა სახეობის თხევადი საწვავის ფასი საბერძნეთში გადიდდა 25-50 პროცენტის ფარგლებში.

რადიოსადგური „თავისუფალი საბერძნეთი“ იუწყება, რომ თხევადი საწვავის ფასების მომატების მერე დღესვე გადიდდა შაქრისა და ზეთისხილის ზეთის ფასები.

ფასების შეუჩერებელი ზრდის შედეგად მიმოქცევაში არსებული ქაღალდის ფულის რაოდენობა სწრაფად იზრდება. მარტო ერთი კვირის განმავლობაში ასეთი ქაღალდის ფულის თანხა 200 მილიარდ დრახმაზე მეტით გადიდდა.

საქართველოს გუნდი — სსრ კავშირის ჩემპიონი თავისუფალ ჰიდაობაში

დამთავრდა შეჯიბრება საბჭოთა კავშირის 1953 წლის პირად-გუნდურ პირველობაზე თავისუფალ ჰიდაობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსკოვისა და ლენინგრადის. აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების ნაკრები გუნდები 162 სპორტსმენის შემადგენლობით.

ჩემპიონატმა ცხადყო ჩვენი ქვეყნის მოჰიდავეთა მაღალი ოსტატობა, საუკეთესო ფიზიკური მომზადება, სახელმოხვეჭილ სპორტსმენებთან ერთად საჰიდაო ხალიჩაზე ბრძოლაში თავი ისახელეს ახალგაზრდა მოჰიდავეებმა, რომლებმაც მრავალ პასუხსაგებ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს.

დიდ ინტერესს იწვევდა უკანასკნელი დღის — 15 აპრილის კალენდარული შეხვედრები. დილით ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში შეჯიბრება დაიწყო უმჩატესი და მსუბუქ წონის მოჰიდავეთა გამოსვლით. უმჩატეს წონაში საიადოვმა (აზერბაიჯანი) ქულებით მოუგო მკრტჩიანს (სომხეთი). გამარჯვება მოიპოვეს აგრეთვე კარავაევმა (მოსკოვი) და ფირგერმა (უკრაინა).

მსუბუქ წონაში გიგიაძემ მოუგო კაშკინს (ესტონეთი). მამედბეკოვმა (აზერბაიჯანი) სუფთა გამარჯვება მოიპოვა მეოსთან (ესტონეთი).

ჩვენი ქვეყნის უძლიერესი მოჰიდავეების ბალავაძისა (საქართველო) და დადაშევის (აზერბაიჯანი) შეხვედრა დამთავრდა ბალავაძის სუფთა გამარჯვებით. დილის შეხვედრებში მორიგი გამარჯვება მოიპოვეს აგრეთვე მუზაშვილმა, გაბარაევმა, რუნგემ, შირიაევმა, სხირტლაძემ, კომოვამ, პრუტკოვსკიმ და სხვებმა.

15 აპრილს საღამოს თბილისის ცირკში გაიმართა გადამწყვეტი შეხვედრები.

ფინალურ შეჯიბრებაში წარმატებას მიაღწიეს საიადოვმა (აზერბაიჯანი), დაუშვილმა (საქართველო), მეკოკიშვილმა (მოსკოვი), მუზაშვილმა (საქართველო) და სხვებმა.

შეჯამებულ იქნა ოთხი დღის მრავალფეროვანი და მძაფრი ასპარეზობის შედეგი. უმჩატეს წონაში ჩვენი ქვეყნის 1953 წლის ჩემპიონის ფიზიკურ მომზადება მოიპოვა აზერბაიჯანელმა გ. საიადოვმა. მეორე ადგილი დაიკავა ი. კარავაევმა (მოსკოვი), მესამე — ს. მკრტჩიანმა (სომხეთი).

მჩატე წონის მოჰიდავეთა შორის წარმატება ხვდა ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთ ახალგაზრდა სპორტსმენს ვ. გიგიაძეს, რომელმაც საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება მოიპოვა. გამოჩენილი სპორტსმენი რ. მამედბეკოვი (აზერბაიჯანი) მეორე ადგილზე გამოვიდა, ს. კაშკინი (ესტონეთი) — მესამეზე.

საინტერესო ბრძოლით ხასიათდებოდა ქვეწესუფული წონის მოჰიდავეთა შეჯიბრება. აქ გაბარაევმა და ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის წოდება მოიპოვა საქართველოს გუნდის წარმომადგენელმა ი. მუზაშვილმა. მეორე ადგილი დაიკავა ა. მიტუსმა (ესტონეთი), მესამე — ვ. მარტიროსოვმა (აზერბაიჯანი).

მსუბუქი წონის მოჰიდავეთა შორის გამარჯვებული გამოვიდა ე. რუნგე (ესტონეთი). მეორე ადგილი დაიკავა თბილისელმა ს. გაბარაევმა, მესამე — ვ. შირიაევმა (ლენინგრადი).

მაღალი ოსტატობით ჩაატარა შეჯიბრება საქართველოს გუნდის წარმომადგენელმა ვ. ბალავაძემ და მოიპოვა საბჭოთა კავშირის 1953 წლის ჩემპიონის წოდება ქვესაშუალო წონის მოჰიდავეთა შორის. აზერბაიჯანელი მ. დადაშევი მეორე ადგილზე გამოვიდა. მესამე ადგილი დაიკავა ვ. რიბალკომ (უკრაინა).

საშუალო წონაში ჩემპიონი გახდა უკრაინელი ნ. კომოვი. სხირტლაძე (საქართველო) მეორე ადგილზე გამოვიდა, ე. საარი (ესტონეთი) — მესამეზე.

ქვემძიმე წონის მოჰიდავეთა ასპარეზობა დამთავრდა შ. დაუშვილის (საქართველო) გამარჯვებით. მან მოიპოვა ჩემპიონის წოდება. ნ. ბერინი (რსფსრ) გამოვიდა მეორე ადგილზე, ა. კუპცოვი (მოსკოვი) — მესამეზე.

როგორც მოსალოდნელი იყო, მძიმე წონაში ჩემპიონი გახდა XV ოლიმპიურ თამაშში გამარჯვებული, საორტის დამსახურებული ოსტატი ა მეკოკიშვილი (მოსკოვი). შ. მდინარაძემ (საქართველო) მეორე ადგილი დაიკავა, პ. პრუტკოვსკიმ (ლენინგრადი) — მესამე.

საქართველოს თავისუფალ მოჰიდავეთა გუნდმა, რომლის შემადგენლობას აკლდა ცნობილი მოჰიდავეები — ციმაკურიძე, ილურიძე, ნოზაძე და სხვები, წარმატებით დაიცვა ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ღირსება და კვლავ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება. მეორე ადგილზე გამოვიდა მოსკოვის გუნდი, მესამეზე — რსფს რესპუბლიკის სპორტსმენთა კოლექტივი.

დასასრულ გაიმართა სპორტსმენთა პარადი, მოხდა გამარჯვებულთა დაჯილდოება და შეჯიბრების ალამის დაშვება.

სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება მოეწყოს 1953 წლის შეჯიბრება სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ და „ბ“ კლასის გუნდებისათვის ორ წრედ.

გუნდები ითამაშებენ თავიანთ მოედანზე და „მოწინააღმდეგის“ მოედანზე.

„ა“ კლასის გუნდების შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს ჩვენი ქვეყნის 12 უძლიერესი გუნდი: „სპარტაკი“ — მოსკოვი, „დინამო“ — კიევი, „დინამო“ — მოსკოვი, „დინამო“ — თბილისი, „დინამო“ — ლენინგრადი, მოსკოვის სამხედრო ოლქის გუნდი, „ზენერგი“ — ლენინგრადი, „კრილია სოვეტოვ“ — კუიბიშევი, „ლოკომოტივი“ — მოსკოვი, „ტორპედო“ — მოსკოვი, „ლოკომოტივი“ — ხარკოვი, „სპარტაკი“ — ვილნიუსი.

„ა“ კლასის გუნდების თამაში დაიწყება 19 აპრილს.

პირველი კალენდარული თამაში სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში მოსკოვში გაიმართება 1 მაისს დედაქალაქის გუნდებს „სპარტაკსა“ და „ტორპედოს“ შორის.

„ბ“ კლასის ფეხბურთელთა გუნდების შეჯიბრებაში პირველობაზე მონაწილეობას მიიღებს 27 გუნდი.

„ბ“ კლასის გუნდების თამაში დაიწყება 2 მაისს.

ბათუმის მასწავლებლის სახლში

ბევრ საინტერესო ღონისძიებას ახორციელებს მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური და პედაგოგიურ-მეთოდური მომზადების დონის ამაღლებისათვის ბათუმის მასწავლებლის სახლი. შექმნილია და ნაყოფიერად მუშაობს მუდმივმოქმედი სემინარი რუსულ და ქართულ ენებზე. სემინარში გაერთიანებულია 60-მდე მასწავლებელი. ლექციებს კითხულობენ მაღალკვალიფიციური ლექტორები. სემინარის მსმენელები ამჟამად გულმოდგინედ სწავლობენ პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ დოკუმენტებს და ი. ბ. სტალინის გენიალურ შრომას „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“.

პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით აქ მოეწყო საღამო, რომელზეც მასწავლებელმა ი. კოდონიდმ წაიკითხა მოხსენება „როგორ ვაღწევ საგნის სწავლებაში მაღალ აკადემიურ მაჩვენებლებს“, სასწავლო კოლეგიუმის დირექტორმა გ. გურგენიძემ, — „სასკოლო კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მუშაობა“, კლასის ხელმძღვანელმა მასწავლებელმა ზ. კიპარისმა — „როგორ ვმუშაობ კლასთან“.

ამას წინათ მასწავლებლის სახლის გამგეობამ მოაწყო სკოლამდელი ასაკის ბავშვების აღზრდელ-მასწავლებელთა გამოცდილების ურთიერთგაზიარების საღამო, რომელზეც მოსმენილ იქნა მთელი რიგი საინტერესო მოხსენებები.

მიუხედავად იმისა, რომ სახლის გამგეობა ბევრ საინტერესო ღონისძიებებს ახორციელებს, დღემდე სუსტია მასწავლებელთა მონაწილეობა, დაბალია დასწრება. საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ამ ღონისძიებათა ორგანიზაციას.

ქუთაისის თეატრის დადგმების განხილვა

საქართველოს თეატრალური საზოგადოების ინიციატივით ქუთაისში მოეწყო ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის მიერ მიმდინარე სეზონში განხორციელებული დადგმების განხილვა. განხილულ იქნა კ. მალიარევსკის პიესის „ქარიშხლის წინ“, გ. ქელბაქიანის— „ახალგაზრდა მასწავლებლის“, გ. ჩიტაიშვილის — „მირანგულას“, ვ. გაბისკირიას „გაზაფხულის დილის“ და ო. ვასილევის „ამქვეყნიური სამოთხის“ დადგმები.

დაფასებულ ადამიანთა ინიციატივა ... ბებით გამოვიდნენ პროფესორი ა. ფაღავა, თეატრმცოდნე ს. გერსამია, ნ. კეკელიშვილი.

განხილვაში მონაწილეობა მიიღეს მხატვარმა დ. თაყაიშვილმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა თ. ლორთქიფანიძემ, შ. ხონელმა, მსახიობებმა ა. ჩიქვანიძემ, შ. პირველმა, ა. ქელბაქიანმა და სხვებმა.

თეატრის მუშაობისა და მომავალი პერსპექტივების შესახებ ილაპარაკა თეატრის მთავარმა რეჟისორმა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ვ. ყუშიტაშვილმა.

ჩეხოსლოვაკიის კინოფილმების ფესტივალი

ჩვენ ... „ამირანსა“ და „ისანში“, ძერჟინსკის სახელობისა და სტუდენტთა ქალაქის კლუბებში 13 მარტიდან მიმდინარეობს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის კინოფილმების ფესტივალი.

საბჭოთა მაყურებლები უკვე იცნობენ ჩეხოსლოვაკიის კინოხელოვნების მიღწევებს. ფესტივალის დღეებში თბილისში აჩვენებენ ორ ახალ სურათს — „ხვალ იცეკვებენ ყველგან“ და „მოტაცებას“, რომელიც დადგა პრაღის სახელმწიფო კინოსტუდიამ 1952 წელს, აგრეთვე ჩვენი მაყურებლისათვის ნაცნობ სურათებს „ველური ბარა“, „ოპერაცია „ბ“, „საჯარიმო მოედანი“, „ხაუანგი“, „ვამოწურთობილნი“ და სხვ.

თბილისის ერთ-ერთი მთავარი კინოთეატრის „ამირანის“ ფოიეში გაიხსნა ჩეხოსლოვაკიის კინოფილმების ფესტივალისადმი მიძღვნილი დიდი ფოტოგამოფენა.

გამოფენაზე ეკუსპონირებული მასალები ასახავს ჩეხოსლოვაკიის კინოხელოვნების განვითარების ეტაპებს, ნაჩვენებია ჩეხოსლოვაკიის მოწინავე რეჟისორების, კომპოზიტორების, მსახიობების სურათები, აგრეთვე კადრები კინოფილმებიდან.

ჩეხოსლოვაკიის კინოფილმების ფესტივალი გაგრძელდება 19 აპრილამდე.

საქალაქო ტექნიკური ბიბლიოთეკა

ჭიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის ქალაქში კარგა ხანია არსებობს საქალაქო ტექნიკური ბიბლიოთეკა, რომელსაც 20.000-ზე მეტი წიგნი აქვს. ბიბლიოთეკა მდიდარია პოლიტიკური, მხატვრული და მეცნიერულ-ტექნიკური ლიტერატურით. იგი სისტემატურად ივსება ახალი წიგნებით, გამოწერილი აქვს თითქმის ყველა საკავშირო და რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთი.

ბიბლიოთეკაში მოწყობილია ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი მდიდარი გამოფენა. აქ ხშირად იკითხება ლექციები აქტუალურ პოლიტიკურ-მეცნიერულ საკითხებზე.

ერთ კუთხეში არის მარგანეცის კოლექცია, სადაც ჭიათურის მარგანეცს გარდა წარმოდგენილია ინდოეთის, ბრაზილიის, აფრიკის და სხვ. მარგანეცის ნიმუშები. ბიბლიოთეკა სერიოზულ დახმარებას უწევს საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტებს.

ბიბლიოთეკა დაკავშირებულია მოსკოვის ლენინის სახელობის და თბილისის მარქსის სახელობის ბიბლიოთეკებთან, რომლებთანაც აწარმოებს საჭირო წიგნების გაცვლა-გამოცვლას. 200-ზე მეტ მუდმივ მკითხველს შორის არიან ინჟინრები — მ. ბრეგვაძე, გ. წიწილაშვილი, ვ. ქოიავა, გ. ჩალაბაშვილი, ა. ხობუა და სხვები.

„სოციალისტური სოფელი“ № 3

გამოვიდა ყოველთვიური სამეცნიერო-საწარმოო ჟურნალი „სოციალისტური სოფელი“ № 3.

ჟურნალში დაბეჭდილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიმართვა პარტიის ყველა წევრისა და საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელისადმი, ამხანაგების გ. მ. მალენკოვის, ლ. პ. ბერიას, ვ. მ. მოლოტოვის სიტყვები სამგლოვიარო მიტინგზე ი. ბ. სტალინის დაკრძალვის დღეს.

ჟურნალში დაბეჭდილია მოწინავე სტატია „ორგანიზებულად და მაღალხარისხოვნად შეგასრულოთ საგაზაფხულო სამუშაოები“, სტატიები — „ქალი შრომის გმირი“, „გავაუმჯობესოთ კოლმეურნეობის მართვა, შიდასაკოლმეურნეო ხელმძღვანელობა“, „სატრაქტორო აგრეგატის მუშაობა სათანადო ზრუნვით“, „მოვსპოთ მინდვრის თაგვი“, „დავრგოთ კარტოფილი კვადრატულ-ბუდობრივი წესით“, „ცხვრის ელექტრომექანიკური პარსვა“.

შეხვედრა პოეტ ა. მირცხულავასთან (მაშაშვილთან)

საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაციის ლ. პ. ბერიას სახელობის კულტურის სახლთან არსებულმა ლიტერატურულმა წრემ მოაწყო თავისი სისტემის მუშა-მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრების შეხვედრა პოეტ ა. მირცხულავასთან.

პოეტის შემოქმედების შესახებ მოხსენება წაიკითხა წრის წევრმა თ. ჯეჯიიამ. მისასალმებელი ს